მაგრამ პირველ ბაქანზე $\frac{1}{2}$ კ. მეორე 5 $\frac{1}{2}$, რაც არას დროს
ჭიათურაში არ ყოფილა; იქნებ კორგიც იყოს და არც სჯობ-
დეს საქმისთვის, მაგრამ, ის წლიური ვალი, რაც თითქმის
ყველას აქვს მათგან სინდიკატიდან გარდა აფენსისა, რომელი
ჯამისაგან უნდა გავისტუმროთ, რომა 5 კ. და შეტერ თვით
მაღანში ზის ჰეთა. სხვაგან მიტანის ნება არც გვაძვს და არც
სასურველია, მაგრამ ჩვენიც რომ ასეა, რავენათ, რა გზას
დავადგეთ აღარ ვიციო.

მართალია ამ ამხანაგობის დამაარსებელი და სათავეში
მყოფი ბ. გ. ზდანოვიჩია, შეიძლება კაცი მცოდნე და გა-
მოცდილია, მაგრამ ჩვენი ყოველივე ნივთიერი და სულიერი
უფლება მისთვის არ გადაგვიცია, და არ კიცით, როგორ
გავიგოთ ბ. კიტა აბაშიძის სიტყვები, რომელიც გვიმტკი-
ცებს წესდების მე 12 მუხ. ძალით „ერთი კაცის საქმეც
არჩევანით, და საზოგადო კრებაც არ არის საჭიროვო“ მარ-
თალია ზოგიერთი არის მაგისი აზრის „საზოგადოება მანც
ვერ ნახავს კაცს და ისევ ჩვენი დანიშნული კაცი სჯობია-
ნო“, მაგრამ ეს შეცდომათ მიმაჩნია, არც წესდებაშია ასე
გამგეობისა და საბჭოს ასარჩევათ არის საჭირო საზოგადო
კრება.

ამიტომ, ბ. ზდანოვიჩი, სიფრთხილით და ენერგიით უნდა მოვკიდოს ამ საქმეს. გამგეობას საზოგადოება ირჩევს და თუ ბ. ზდანოვიჩმა ვინმე დანიშნა, ისიც მხოლოდ დროებით, მართველები არიან და არა დაკანონებული, გამგეობას ასეთი დროებით მიწდობილება აქვს დღეს, ჭიათურის ბანკის დირექტორებს, რიცხვთა შორის კიტაცაა, რომელთაც ერთი ჯამაგირის ნაცვლათ მეორე მოემატათ, თვეში ას-ასი მანერი. გარდა ამისა, საბჭოს შესახებ ჩვენ აზრით არ გვქონებია თუ წარმომადგენელები ამათ ითვლებოდა, თორებ თავიდან სჯობდა არჩეულიყო საბჭო; ამისათვის უმჯობესია საზოგადოებამ მართლა საბჭო აირჩიოს 6—12 კაცამდის—ვისაც შეეძლება საზოგადო საქმის გათვალისწინება ჯერ საქმის გასაუმჯობესებლათ არის საჭირო და მერმეთ ნაკლები ხარჯები დაუჯდება საზოგადოებას; თორებ ქხლანდელი ზოგი, ჰო, ჰო, და არა, არა! ვერაფერი წევრია საბჭოს

იქნება ამას საზოგადოება ასე ზეპირათ არ დაეთანხმოს, მაგრამ თუ კი საქმისავის ასე სჯობია, ბატ. ზღანოვიჩიც ასე შეიძლება და თავის აზრსაც გამოლოდნებს ამ სავანზე.

კიტას სიტყვა მართალია „კარგი ქვა გვაქსო, მაგრან
ზოგი გავლენიანი პირის აზრი არ ეთანხმება მაგას და რო-
მელს დავუჩიშუნოთ, რომელი უფრო ხშირათ დადის გერმა-
ნელ ანალიზატორებთან არ ვიციოთ და არც ის, რამდენათ
ჩვენთვის მართალი იქნება მარგანეცის ანალიზის $\%_0$ -ბის რიც-
ხვის შეტყობით მათგან. საქეც იმაშია ახლა კარგსაც არ აქვ-
თასი, ზოგი მდარეც კარგ ფასში იყიდება საზოვარ-გარეო

წინა წლებში, ორცა კი მუშაობა იყო აქ 7—8—9 კ
და შეტათაც იყიდებოდა ქვა ჩვენს ამხანაგობას პირველიდა
6-დან— $6\frac{1}{2}$, 7, $7\frac{1}{2}$ -ზე არ გაღაუცილებია მარგანეცის ფა
სი; ბ. კიტის სიტყვით, თითქოს დიდი მეტოქეობა გაეწიო
ამხანაგობას კერძო მყიდველებისათვის; მეტოქეობა იმგვარ
წარმოებას ქაურისება, მაგრამ—ასე ადვილიც არ არის, რა
საც ბევრი ფიქრობს.

ახლა ამხანაგობა $5\frac{1}{2} - 6\frac{1}{2}$ კაბ ყიდულობს რამოდენი
მე წევრითაც, სხვა გაჩერებულია — ჩაფიქრა ზარალის მე

ვერას ხელვენ მაგ ფასში;. კერძო მყიდველები კი $7\frac{1}{2}$ — $8\frac{1}{2}$ კიდულობენ სადაც ხელ მოუწერლები ეზიდებიან. განა ამას ქვია მეტოქეობა, როცა ჩვენ გაჩერებული ვართ და სხვა 15—20—25 ათას ფუთ ქვის ღებულობენ ბაქნებზე დღე- ში?

კარგათ ოომ დაუკვირდეთ, მარგანეცის ფასი არც ერთია
და არც მეორე, თუ ანგარიშში მიცვალებთ ოომ გამოტანა
გვირაბიდან 3—3 $\frac{1}{2}$ კაბეიკი ჯდება, ჩამოტანა 2 $\frac{1}{2}$, 3,—3 $\frac{1}{2}$,
სიშორის მიხედვით—ხარჯები სხვა: შტეიგერის, გვირაბის გა-
მაგრება, გზის, საწყობის ქირა, გადასაყარის და ნოჭრის ჯა-
მაგირს, მაშინ თითოეული დაკრწეულდებით, რომ მარგანეცის
ფასი უნდა იყოს 9—10 კა. ამ რეკინის გზის ტარიფის დროს
მაშინ შეიძლებოდა, რომ ეთქვათ— ფასი აიწიათ; ამხანაგობა-
ში ამ რიგი წონით, როგოც ახლა არსებობს 6—7 კა. ნაკ-
ლებ არ მოიტანება მაღანიდან—ამ ფასის დროს განკრწევეტე-
ლი გაბმული გადაზიდეთ უნდა იყოს მასი საზღვარ-გარეთ;
რათა ინებ სკითქამ, ან მოსაზებმა დახუროს ხარჯები.

ეხლი, ერთი და დაგვრჩნია, რათა თითოეული წევრი
საზოგადოების ამხანაგობაში იყო თუ არა, იყოს ერთი ინ-
ტერესით გამსჭვალული, ამისთვის არის საჭირო ენერგიული
შრომა, განსაკუთრებით ამ საქმისთვის პოვალება, უმეტეს
სათავეში მყოფთაგან, თორემ ასე მიღენ მოდენა საქმისა
ნათხოვრობა, გაცვლა გამოცვლა და ფორმები ვერ მისცემს
ამხანაგობას სასურველ მომავილს — ჯერაც ჯამიგირები კარგი
და საქმე ცოტაა.

არც მარტო მუშისთვისაა მუშაობა აქ ხელ საყრელი;
მუშა დღე და ღამე გვირაბში მუშაობს კირკით, სოლით, ურო-
თი და ლომით, მოტეხილი ქვა გარეთ ტაჭკებით გამოაქვთ
მიწის გულიდან 70—80—100—120 საენის მანძილზე, ქი-
რათ დღიურ 50—60—80 კაპ. და ზოგიერთ დიდი ხნის
გამოცდილ, ლონიერ მუშას, მანეთიც და ცოტა მეტიც აქვთ
თავის ხარჯით. (ასეა ნარდაბის მუშებიც). ჭამს მარტო
პურს და სვამს წყალს, წვება გარეთ, ბინაც არა აქვთ; სუნ-
ოქავს მუშაობის დროს ნაეთის კომლით გაულენთილ ჰაერს

მართლა, ფასი რომ იყოს მარგანეცისა — ყოველი მხრით
შეიძლებოდა გაუმჯობესობა საქმისა, მაგრამ ეხლანდელ ფა-
სებს არც ამგვარი ხარჯების ატანა შეუძლია, თორემ გაუმ-
ჯობესობა საღლაა? პირველათ დაწესებული ჭიათურაში მუ-
შაობა, მეტი სასარგებლო იყო კულტურის, ვიდრე ახლა. აქა-
ური შრეწველები უფრო მოიჯარადრეებია, ვიდრე მესაკუთრე-
ნი. თუ ვინმე იკითხავს — აბა რაგა ხდება ამდენი მილიონების
გადატანაო, ისიც უნდა მიეიღოთ მხედველობაში, რომ ათა-
ნაირი მოტყუების მახე — ბალებია და ანკესებია გაბმული ერთ-
მანეთ შეუა, მაგალითათ გაურიგდა მემამულე ვინმეს იჯარით
მიცემა მარგანეცისა, ვნახოთ, ადგილი იცლება და იჯარა ცო-
ტაა. ასე მოხდა ამ წლების წინ, ერთმა მეორეს სამუშაოთ
ადგილი გამოართვა და წლის ბოლოს 13 ათასი ფუთის
უჩვენაო? აღმოჩნდა 33 ათასი ფუთი ქვა გაეტანა; მწონელე
ბი სხვა მცნებით სარგებლობენ, კონტროლებიც თავისით
და ამ რიგათ მთელი ჭიათურა გადაიქცა ეშმაკის ბუდეთ. აქა-
ურ სიმრუდე-სიყალბეს და ბოროტებ-ს წონაში და ანგარიშ-
ში უნდა შეებრძოლოს უეჭველია ამხანაგობა; მაგრამ ამხანა-
გობა საკუთარი ორგანიზაციით და არა როგორც ახლა არის
გართალია, ზოგიერთი ჩვენებური მოურავები და მათი მომხრევ-
გახდება ცოტა არიყოს ამხანაგობის მოწინააღმდეგე, მაგრა
დროა, წლოვანებიც ვართ შევიგნოთ ჩვენი ქვეყნის სიმღიდ-
ე, — ჩვენს ქვეყნასაკენ ესაჭიროება...

როგორც ზევითა გსთვენიო მმანაგობის დამარტებელი და
მოთავე ბ. ზდანოვიჩია, საშინელი კრიზისს გამოვლილი ამხა-
ნაგობა მაინც კერძოდ ატყობს საქართველოს — ცოტ-

არ იყოს ეჭვიც არის ღაბადებული, — ეკვები ჯერ წარმომაზად
გენლებს შეეხება, მაგრამ ისინი თავს იმართლებენ „ჩვენ არა-
ვინ გვკითხას ვსო“⁴. ამისათვის ჩემი აზრია: რუდეზერცუნა უამტერ
უნდა სწყვეტიავდეს საქმეს, ეს წარმომადგენლურბა კაგულების
შეიცვალოს კანონიერ მართლა საბჭოთი საზოგადოებიდან;
ყოველი წესდება და ინსტრუქცია იქნეს შემოწმებული საზო-
გადოებიდან, კაცების დაყენება და გაშვება, როგორც მოხდა
ამხანაგობაში ვექილებიდან, — საერთო უფლების შეკვეცა;
თუ ხალხის სურვილი კოტათი არ დაკმაყოფილდა, მაინც შე-
იძლება ამხანაგობაც უსაფუძვლოთ დარჩეს აგებული. (ეს ხომ
საბჭოს გადმოტანა არ არის, ყოველი განაჩენი ქაღალდებზე
რჩებოდეს აუსრულებელი) რაც სამრჩეველო საქმეში პროტო-
კოლები ნაკლებათ იწერება, თუ კი არის მზრუნველობა უკმ-
თესათ იქნება საქმე. მე არც იურისტი ვარ, არც ბუნების
მეტყველი, არც თფილი ადგილის მოტრფიალე, არც პირა-
დათ დაინტერესებული ვინმესთან, მაგრამ საჭიროთ მიმაჩნია
ეს ჩემი შეხედულობა ვსიქვა და საზოგადოება იყოს მსჯავ-
რი, დამდები.

დღემდის ჩატუშებული ვიყავით ოქროს გორების მოლო-
დინით, მაგრამ უმჯობესობა მაინც არ დაეტყო საქმეს და
მიზეზათ მოუკლელობას აძრილებენ ამ საქმისთვის, ამისთვის
მკითხველმა საზოგადოებამაც გაიგოს მიმღინარეობა ჩვენი-
საქმისა, იქნებ საქმე უფრო ნათლაც გამოირკვეს და საქმეს
დაეტყოს წინსელი.

საჭიროა გამგეობა და სარევიზიო კომისიაც, ბაქნებიც—
თითოს თუ არა, ორ სამ ჯგუფებზე მინც—დაინახოს ხალხმა,
გულ წრფელობა და მიუღვიობლობა საქმეში. ასე შეიძლება
ამხანაგობამ მეტი ნდობა დაიმსახუროს ხალხის წინაშე და
წევრის რიცხვიც ასე გამრავლდება. ამგვარათ შეიძლება მოე-
შატოს ძალა ამხანაგობას, რაც დიდათ საჭიროა.

Թուեղիքը օքազուս „Ծողթուա“

১ ৮ ৩ ০ ৭ ৩ ৩ ৪ ৫ *)

ნახევარი ლალატია
მტრების გამოქმაგება
და კერპობა—უსჯულობა
—კარგის გმობა, ავის ქება.

ეს ორა აქვთ შეგნებული
,,კატეპატელა,, ზოგიერთობს!..
რა მნელია, როდა ვინმე
გულსა და კუჭს გაიერთობს?!

დღემდის გვარიდ გამეგონა
შეგრელებში დასელია,
დღეს-კი სადაც გავიხედე
სუკოველგან დასელია.

სიბერის დროს მათს მოძღვრებას
უნდოურათ მოკვარ ყური.
ეტყობათ, რომ იღია მოსწონთ
სოფლის პრასა-ნიახური!..

*) ეს შაირი გადმოვცემდეთ „ივერიის“ № 215. აქვე გვინდოდა გადმოვცემდა სოსიკო მეტკევილაძის „ფალოსოფიური“ მოზაურობანი, მაგრამ უადგილობის გამო ვერ ვახერხებთ. ამ წერილი—„დანოსის“ დაბეჭდვით „ივერიის“ ჩეთაურები ასრულებენ თავიანთ ისტორიულ მისიას. რედ.

, „ქალაქ-ქალაქ!“ იძახია;

მარქსის ბუდე ქალაქია!

სოფლის მუშას ასს ერთი სჯობს

მზარეული, დალაქია.

ალარც ხვნა და ალარც თესვა,

ალარც მკა და არც ყანები!

ვითომც ჩვენშიც ინგლისია.

ქარხანები.. ქარხანები!!

მომეწონა მათი აზრი.

კარგი არის მათი მცნება!..

მაგრამ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით

უნდა იყოს-კი ოცნება!..

თავთავისი დრო აქვს ყველის

ბუნებრივი, შესაფერი

და ვინ არევს ერთმანეთში

თუ არ, ვინმე, თავის მტერი?

„შემოდგომას ხვნა და თესვა—

ზაფხულში კი მკა ქებულა

და თუ მუშას არ სცოდნია

ეს, მასხარად აგდებულა!

„დელა-მიწა“ მიტომ ჰქვია

ხმელეთს, რომ ჰშობს ქვეყნის ძალას!

ვინც გაურბის, ეძახიან:

ბოგანოს და მაწანწალას.

და მეც მიტომ თანავუგრძნობ

იმ შინაკაცს, გურულ—სოფლელს.

პასუხი რომ მოქრიოთ უთხრა

გადამარქსულ ვითომ დასელს.

„გურულმა სოქვა, სხვა ქვეყნები

მოვიარე მომეწონა,

მაგრამ მაინც ჩვენი ქვეყნის

მოშორებამ დამარნა!“

გაეცინა დასელს და სოქვა:

„ეე სიტყვაა უთავბოლო!..

კაცი საღაც კუჭს გაიძლებს

იქ ექნება მას სამშობლო!..

სოფლელმა რომ ყური მოჰკრა

თავის ქნევით უბასუხა:

აგრე ფიქრობს თურმე ლორიკ;

და სამშობლოდ სწამს მას მუხა.

ველურ ჯიშის ლორი მყავდა,

ერთხელ ტყეში გმებარა;

მუხა ნახა, რკო იგემა

და შინ ალარ მომექარა.

დამიწუნა, მაგრამ ბედმა

გარე—ლუკმა ჩააშამა:

მართალია მსუქნად იყო,

მაგრამ მგელმა-კი შესჭმა!

ჩემ სახლში რომ ყოფილიყო,

რა უჭირდა სასიკვდილო?

და ამას მე მიტომ ვამბობ

რომ სხვა მაინც გავაფრთხილოთ.



მოდი ახლა და ნუ იტყვი,

რომ ჭუაა მასპინძელი;

და სწავლა კი სტუმარია

შინ სამოყვროთ ცოტა ძნელი.

თუ რომ სტუმარს მასპინძელმა

ვერ გაულო სახლის კარი,

გაბრუნდება, სხვისას მივა,

როგორც ძმა და მეგობარი!

აკავი

ჩ თ ნ გ უ რ ს

ლამეა კაეშნიანი...

თვალი ვერ ხედავს ვერასა,

ქარი კვნესს, ქარი სისინებს,

ქარი დასტირის ბნელას!

აქ მოდი ჩემო, ჩონგურო,

ერთო ნუგეშო გულისა,

მესაიღუმლევ, უცვლელო,

ჩამუქებელო წყლულისა!

ისევ შენ განდობ ნაღველსა,

ისევ შენ განდობ ყველასა;

ქარი კვნესს, ქარი სისინებს,

ქარი დასტირის ბნელას!

ფიქრი... ფიქრი... და ფიქრები...

არ ზარდებიან გონებას,

გული სევდებმა წაიღეს,

სული მიეცა ლონებას!

შენ ერთათ ერთო ნუგეშო

მაინც შენ განდიაბ ყველასა;

ქარი კვნესს, ქარი ქვითინებს,

ქარი დასტირის ბნელას!

ცრემლი დავლვაროთ ორთავემ?

ეს ხო ლაბარის წესია!

თუმცა ცხოვრებას მდელოზე

მეტი რა დაუთესია?!

ან რა დროს ქებათ-ქებაა

გაზაფხულის და იასი

კორდებზე გალაღებული

ბულბულის ტია-ტიასი!

არა, ამ მწუხარ ღამეში,

გარს რო მოისხა ვარდები,

მაშინ ჩცნგურო სიმწარით

ხელიდან გამივარდები.

არა, ისევ და ისევა,

ისევ მას დავკრავ სიმებსა,

რაც რო სიმწარით ნაღველსა

შეაკრთობს გააღვიძებსა.

დავკრავ: ღამე მწუხარე,

თვალი ვერ ხედავს ვერასა,

ქარი კვენეს, ქარი ქვითინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!
დავკრავ ამ მწუხაო ღამეში
ისევ შენ განდობ ყველასა,
ქარი კვნეს, ქარი ქვითინებს,
ქარი დასტირის ბნელასა!

• ევლოშვილი.

სამი სურათი

(ფსიხოლოგიური სინამდვილე)

I.

ნაშეალამევია... პელო ფანჯარასთან ზის მწარეთ და-
ფიქრებული... უეცრათ შეკრთა,—გველ-ნაკბენივით დაიწმაწ-
წნა მთელ ტანში და დაიწყო ცხარე ცრემლის ნაკადულის
ფრჩვექა თვალთაგან... დიდი ხნის შემდეგ ამოიოხრა ღრმათ
და თჯეა: „რა ჯენა! დღეს სწორეთ ერთი ცერედ, რაც მე
სულ უცრესათ ქცევი... ეს დაგერებულები—დარიდრები
ერილები, — ას დასულებულები... რედთ დროს ჩემი
ცხოვრება?!.. ეს რო შალვამ იცოდეს, რაც დღე მე მადგია,
უთუოთ შევეზარები“, — სთქვა უკანას წელი სიტყვები ხელე-
ბის ფშვნეტით და მიაჩერდა კას... შენიშნა-რა საავდროთ
აგორებული ღრუბლები, შესძახა: „გაიმე! ავდარს აპირებს!...
მე კი რამდენი სასიარულო საქმე მაქვს“!.. ამასთანავე ური-
ვე ხელი გულზე იტაცა და გონება-დაკარგული მიესვენა
სკამს... დიღხანს იყო პელო უგრძნობერ მდგომარეობაში,
მარა მას არავინ ყავდა, რომ წყალი მიეწოდებია და გონს
მოეყვანა!..

დიახ, ღვთის-ანაბარათ მიტოვებული იყო პელო!.. მას ამ
გონების დაბნედილობის ღროს ლამპამაც უდალატა: პელოს-
თან ერთათ მანაც დახუჭა თვალები!.. ამ ღროს მთვარე და-
უსხლტა ღრუბლებს ხელიდან და სხივები მიაფინა პელოს
სევდისაგან დაღარულ შუბლზე. ამავე ღროს თითქო ნიავმაც
თანაუგრძნო... მის ქროლაზე პელო შეინძრა, მაგრამ ისევ
დაიწყებას მისცა თავი... სად არის პელო ახლა და რასა
გრძნობს?

II.

ორივე ხელები მაგრათ ჩაიკრა გულში პელომ... მთვა-
რის სხივებმა და ნიავის სისინმა თან გაიტაცა ის და გააფ-
რინა მის შილვასთან... ახლა მასთან ტკბება ის... ამ წამს ის
ისეთი ბედნიერია, რომ მაგვარს ბედნიერებას ბეჭრი მისებრ
ტანჯული ძვირათ ელირსება... დაინახა თუ არა თავისი სუ-
ლის-დგმა, პელომ შეკივლა: ოოოპ!.. შალიკო ხარ შენა?!

შენ შემოგველე, რატო დამტოვე? რო წამოდი, ვისონ და-
მაგდე?! მე რომ უშენობა არ შემიძლია, შენ ხომ კარგათ
იცი, ჩემო სიცოცხლე!.. შეც შენითან ვიქნები... არ შემი-
ლია, თუ გინდ მომკალი შენი ხელით, მე შენ ვერ მოგშორ-
დები!.. შალიკო! რისტვის ხმას არ მცემ, ჩემო კარგო?! გა-
ნა გეწყინა ჩემი მოსელა?

ოო, არა, არა! — მიუგო შალიკომ მთრთოლვარე ხმით,
— რავა მეწყინა, ჩემო კარგო, მაგრამ...

... — „მაგრამ“ რა არის? რამ გაგაჩუმა?! რატო არას
ამბობ?

— იმან რომ...

— თქვი ბარება...

— ნელა, ნელა, პელო... თვარი დარაჯები გაიგებენ
შენს აქ შემოსვლის... და ხო იცი, რა ძალლებია!.. შენ შე-
გაწუხებენ, თვარი მე... მე გაუსლებ მაგათ... პელო! დაფიქ-
რდი, ჩემო კარგო—ბავშვი ძლარც შენ ხარ და აღარც მე.—
ყური დამიგდე, გეთაყვა... შენ არ იცოდი, მე რომ არ შე-

მეძლო ზოგიერთსავით თბილ ალაგზე ყოფნა და გულ-გ
ლათ ცქერა ბოროტებისათვის!?! შენც ამისთანა იყავი, თ
რა მე და შენ რაფერ შევაშანაგდებოდი, მაგრა ჩემი გებენი
ხლის ნაპერწელები არ ღვივოდა მაგ შენს გულში მაკლებელი ეს

— კი, მართალი ხარ, ჩემო კარგო.— შენ მაქნევინე
რი ქვეყნისკენ მე იმედ—დაკარგულს, სასო-წარკვეთილს.
ყველას ეჭვის თვალით ვუკეროდი. ჩემს გრძნობასა
სურვილს ვერვის ვანდობდი—ობოლი სულ შმაგათ დავრბ-
დი... იმ ღროს შენ გნახ ჩემებრ ტანჯული... ის ვნახ შე
ში, რასაც ვეძებდი, რაც მე მომწონდა და რისტვისაც მარ-
დის გული მიცემდა .. ტანჯულმა ტანჯულს მოგვცი ხელ-
— ერთათ ჭირი და ლხინი, ერთათ საერთო თვის დადება-
სე არ იყო ჩენი პირობა?!

— მერე? ახლაც ასეა და ასე იქნება მარალის...

— რაფერ, შენ ჩემო კარგო? რომ მიმატოვე?!

— ნუ, პელო!.. გონს მოდი—დაფიქრდი, — რას ამბობ.
გეიხსენე,— ჩენ ვინ ვართ და რას ვეკუთვნით—განა ჩვ-
ნება გვაქს— ჩენს ბედნიერებაზე ვიფიქროთ?! რატომ ას
ულოლიკოთ სჯი? რა მოგვერია? შენ ის პელო აღარ ხარ
რომ იყავი... რატომ ვერ დასუსტდი?!.. შენ სულ სხვა იყ-
ვი, სულ სხვას ამბობდი წინეთ...

— მე, რაც ვიყავი, ისევ ისა ვარ, მარა უშენობას ვერ ვუ-
რიგდები, ვერ მოგახერხე... ვწვალობ სულთ-მობრძავივით
მაგრამ პაერი ჩემთვის მოიპოვო... დავრბივარ სულ-შეხუთუ-
ლი... მოსვენებას ვეძებ ყოველგან, მაგრამ ყოველგან სატან
ჯველს ვხედვ... დამასუსტა უსამართლობამ სიყრმიდან, მომ
ცელა, არ შემასვენა და ახლა ჩემი თავი მე თვითონ მეზარე
ბა. თუ ვიყავი და ვცხოვრობდი— შენგნით.... მე შენგნით
შენგნით შევურიგდი ამ ქვეყნათ ცხოვრებას... ახლა მე ვერა
ვერ ავიტან უშენობას.

— პელო! კარგი, ხელი გამიშვი... დაწყნარდი, გონ
მოდი და ისე მელაბარაკე, ჩემო პელო... მე ვნატრობდი
შენს ნახვას... მე შენთან უფრო ბევრი საინტერესო სულ
სხვა რამე მაქვს საღაბარაკო... ჩენს კერძო ცხოვრებაზე არ
ღირს რომ ვიღლაპარაკოთ და ღრო დივაკარგოთ. ჩენთვის
ღრო ძვირია... ჩენი კერძო ცხოვრება თავის-თავათ გასწორ-
დება ღროზე... ახლა ჩენ სხვა გვჭირია, სხვა, რაც უფ-
რო გვესაჭიროება... მაშინ ვერ მოვასწარი ეს და ახლა
უნდა გიანდერდო ღრომდის შენ...

III.

ზოგჯერ ბუნებაც მოლალატე... ამ ღროს შემოკრა
ძლიერმა ქარმა ფნჯრის ღარაბას და უეცარმა ხმამ შეაკრთო
პელო... და მოწყვიტა მას გულიდან შალვა... გულში მაგ-
რათ ჩასკენილი ხელები გაშლა, თვალები გაახილა და მხვ-
და უბედური, რომ მოჩვენება იყო და არა სინამდვილე!..
დაუარა ცეცხლის ზარტეხილმა მთელს ტანში და ისევ გული
შეულონდა, ხელები ისევ გულში აქვს ჩაკრული... უნდა თა-
ვი შეიმაგროს, ღონე მოკრიბოს და გაითვალისწინოს ი-
მისი სანატრელი სურათი... მაგრამ ამათ!... სულს უხუთავს
ის მოფიქრება, რომ მოჩვენება იყო და არა სინამდვილე...
ახლა იმას სცდილობს, რომ იქნება განმეორდეს ის სანეტა
რო, ის ძვირფასი „ჩენება“... მაგრამ ესეც შეუძლებელია—
იცის ეს იმან... ასეთი შემთხვევა თუმცა იმვიათი არ არის,
რადგანაც, რასაც აღამინის ფიქრობს და ცხადათ იქვს აღმე-
დილი გონებაში, ის მას ხშირათ წარმოუდება ძილშიაც...
მაგრამ არა ხელოვნური, არამედ ისე, თავისთავათ მოევლინე-
ბა ზოგჯერ ეს აღამინს... აი სწორეთ ასეთი შემთხვევა-
ეწვია პელოს მღელვარებისა და დაქანცულობის ღროს:
მისმავა წარმოდგენილებამ ის მოატყუა და გაუახლა ის ღრო,
როდესაც შალვა გამოსტაცეს ხელიდან... ცდილობს სკამი-

დან აღეცს, მაგრამ გული ეხურება, ჰაერი აღარ ყოფნის... აუა-
თურებს მორთოლვარე ხელებს, მაგრამ ვინ არის მშველელი?!..
თჲოულობს შველას, მარა ვის ესმის?!!..

ଶ୍ରୀସୁନ୍ଦର.

ԱՅԱԲԹԵԹՑ

(მოთხ. ჩეხოვისა)

საღამოს, ჩვეულებრივი სეირნობის დროს, კოლეჯს კი-
-ასესორი მიგუვეთ ტელეგრაფის ბოძის მახლობლათ გაზრდა
და გულიანათ ამოახვენება, ამ ერთი კვირს წინათ, სწორეთ
ამავე ალაგზე, როცა იგი საღამო ხანს სეირნობიდან შინის-
კენ ბრუნდებოდა, მას დაეწია მასთან ნამსახური გორნიჩნა-
-აგნია და ბრაზიანათ უთხრა:

— მაცადე მე შენ! ისეთი საქმე დაგმართო, რომ შენ
სიკუცხლეში საკენესებლათ გვყოს. მე შენ გახტავლი, თუ
როგორ ადვილია უმანკო ქალების დაღუპვა! ბავშვისაც მო-
გზგდებ, სასამართლოშიაც გიჩვლებ და შენ ცოლისაც ყვე-
ლაფერს მოვუყენი...»

მაშინ აგნიამ მოსთხოვა, რომ მიგუევს მის სახლობაზე
5,000 მანები შეეტანა ბანკში. მიგუევს ყველა ესენი გაას-
ხენდა. ძალაზე ამოიხსრა და ერთხელ კიდევ თავის თავი-
სასტიკათ გაკიცხა იმ წუთიერი გატაცებისათვის, რომელმაც
ამდენი ტაჯვა-წვალება მიაყენა.

ამნაირათ, ფიქრებში გართული მიგუვეთ მოუხალოვდა
თავის სახლს და დასასვენებლათ იქვე, სამერცხლის კიბეზე
ჩამოჯდა. სრული ათი საათი იქნებოდა; ღრუბლებში მთვარე
ოდნავ მოჩანდა. ქუჩაზე და სახლების მახლობლათ ადამიანის
ჭაპანებია არსად იყო: ხნიერ მოავარაკეთ უკვე დაეძინათ,
ხოლო ახალგაზღვობა ჭალაში სეირნობდა. მიგუვემა პაპირა-
სის მოსაკიდებლათ ჯიბებში სპირას ძებნა დაუწყო და ამ
დროს ნიდაყვი რაღაც რბილს მოახვედრა; ჩაიხედა მარჯვენა
ილიას ქვეშ და ერთბაშათ გველ-ნაკბენივით შეხტა. სამერ-
ცხლეზე, კარების ძირში, რაღაც ბოლჩა იდო, შიგ რაღაც
მოგრძო იყო გახვეული და ერთი ხელის მოსმით შეატყობ-
დი, რომ დარიანდაგებული საბანი უნდა ყოფილიყო. ცალ
მხარეზე ბოლჩას პირი ოდნავ ღია ჰქონდა. კოლექსი ასესორს,
როგორ შიგ ხელი ჩაუყო, ხელში რაღაც თბილი და სვე-
ლი საგანი მოჰყვა. თავ-ზარ-დაცემული გიუივით ზეზე წამო-
იჭრა და საჩქაროთ აქთ-იქთ მიიხედ-მოიხედა...

— აკი მართლა მომიგდო! — ბრაზ-მორეულმა კბილების
ხრჭიალით ჩაილაპარაკა და თან მუშტები მაგრათ მოკუმშა. —
აპა, აგერა დევს... აი, აგერა გლია უკანონობა! ოს, ღმერ-
თო!..

შიშმა, სიბრაზემ და სირცხვილმა სრულებით გონება
დაუკარგა...—რა ვქნა, რა მოვიფიქრო?—რას იტყვის ჩემი
ცოლი, თუ გაიგო? რას იტყვიან თანამოსამსახურები? მათი
აღმატებულება ხუმრობით ბეჭებში ხელს ჩამარტყაშ და ეშმა-
კურის ღიმილით მეტყის: „მომილოცავს, მომილოცავს...
ხე, ხე, ხე... წვერებში ჰილარი, გვერდებში კი ეშმაკი... აი,
შე ცელქო, შენა! ყოჩალ, სიმონ ერასტიჩ, ყოჩალ!“ რასაკ-
ვირველია, მოაგარაკენი კუველანი გაიგებენ ჩემ საიდუმლოე-
ბას და, ვინ იცის, ეგებ ზოგიერთმა პატივ-ცემულმა დეჯებმა
სახლშიაც კი აღარ შემიშვან. ესეც არ იყოს, მიგდებული
ბავშვების შესახებ გაზეობში სწერენ ხოლმე და ამნაირათ
დღემდის უმნიშვნელო მიუღვის გვარი მთელ რუსეთს უნდა
მოედოს...

შუა ფანჯარა ლია. იყო. მიღუევმა გარკვევით გაარჩია
დანა-ჩანგლის ჩხარუნი, რომლებსაც ანნა ფილიპოვნა ვახ-
შმისთვის მაგიდაზე ალაგებდა. იქვე მახორობოთ, ჭისკრის

უკან,—ეზოში, მეტოვე ერმილე ფანდურს უბარტყენებდა...
ბაგში რომ ამ დროს გამოღვიძებოდა და დაეჭყავთ, სრუ-
ლიათ საკმარისი იყო, რომ მისი საიდუმლოებელი ქადაგი
დებოდა... მიგუენ აჩქარდა.

— საჩქაროთ, საჩქაროთ... ბუტბუტებდა საბრალო, —
ამ წუთშივე, სანამ არავინ მხედავს. სხვაგან წავილებ სადმე
და იქ, სხვის კარზე დავტოვებ... .

მიუვევმა ცალ ხელში ბოსჩა დაიჭირა და ნელი, გაბე-
დული ნაბიჯით ქუჩაზე გაემართა...

— „ყოვლათ საზიჲლარი მდგომარეობა! — ფიქრობდა

იგი და თან ცდილობდა თავი ისე დაქმირა, თითქოს ყუ-
რადღებას არაფერს არ აქცევსო.—„კულლეჟსკი ასესიონი
ბავშვით ხელში ქუჩაში მიბრძანდება. ოხ, ღმერთო ჩემი,
რომ ვინმემ დამინახოს და გაიგოს რაშიცაა საქმე, ხომ სიმუ-
დამოთ დავიღუპე!.. მოღი ამ კიბეზე დავდებ... მაგრამ, არა,
ფანჯარა ღიაა; შეიძლება ვინმე იუქირებოდეს. მაშ, სად წა-
ვილო? აა! ისევ მდიდარი ვაჭრის, მელკინის, კიბესთან მი-
ვიტან. ვაჭრები მდიდრები და თან გულ-შემატკიფარნიც არი-
ან. შეიძლება დამიმაღლონ კიდეც და ბავშვი გისაზრდელათ
აიყვანონ“.

Յոցլուքը գալա՛Ծպութա ծէց Մցու շըմվելատ մըլյոնու սաելու մուցանա, տղմքա զօքրու սաելու ժլոյց Մոռս, յիշիւ ծոռու մու—Ծկու նաձորաս.

— „კარგი არ იქნება, რომ აღრიალდეს და ან ბოხი-
დან გადმომივარდებოდეს, — ფიქრობდა კოლეესკი ასესსო-
რი. — ით, უკი გინდა, სწორეთ ამაზე იტყვიან: „ვერიდებოდი
ბოროტსაო, დამიხვდა სოფლის ბოლოსაო“, — ცოცხალი
ადამიანი პორთფელივით იღლიაში ამომიჩრია და მიმყავს.
ცოცხალია, როგორც ყველანი; ისეთივე სული და გრძნობა
იქვე, როგორც ყველას... თუ ღმერთმა ინება და მელკინმა
გასაზრდელათ ოყვანა, ვინ იცის, ეგებო დაბოლოს ისეთი
დიდებული ვინმე შეიქნეს... რა არ მოხთება ქვეყნაზე! შეი-
ძლება ეს პატარა ბალი გამოჩენილი პროფესორი, ან მთა-
ვარ-სარდალი, ან და მწერალი გამოვიდეს... ეხლა აფერ უბ-
რალო ჩვარივით იღლიის ქვეშ მივათრევ და, ადვილი შესაძ-
ლებელია, 30—40 წლის შემდეგ ამის წინ ჯარის-კაციებით
გამოჭიმული უნდა ვიდგი“...

მიგუევმა ვიწრო ქუჩაში შეუხვია, საღაც, გარდა ცაც-
ხვებისა, აღამიანის ჭავანება არსათ იყო. სინდისმა ქენჯნა-
დაუწყო. მან იგრძნო, რომ მეტის-მეტ სისასტიკესა და და-
ნაშაულობას ჩაითვარდა.

— „სიმართლე რომ ვთქვა, დიდი სისაძაგლეა!“ — ფიქ-
რობდა მიგუევი. — „ისეთი სისაძაგლეა ისეიი, რომ უარესის
მოგონებაც კი ძნელია... არა, რას ვემართლები ამ საწყალ
ბავშვს, აქეთ-იქით რომ ვათრევ? განა ამის ბრალია, რომ
დაიბადა? ან რა გვიქნა ცუდი ამ საბრალომ?.. ო, საძაგლე-
ბი ვართ!.. გაქვთ სიცოცხლე, ჩვენ თევზი გვიყვარდეს, ხო-
ლო ფეხებს კი საბრალო ბავშვები ისველებენ... რატომ არა-
ვინ არ ფიქრობს ამაზე! მე გარევნილობას ჩაედიოდი, ხოლო
ბალლს კი ამისათვის სასტიკი ბედი მოელის... ვთქვათ, მელ-
კინიანთ მიუგდე. ისინი გაგზავნიან აღმზრდელ სახლში, სა-
დაც ჟველ ა რი უცხო, ჟველავერი სახელმწიფოა!.. არც
ცალერსება, არც მოსიყვარულება, არც ერთი და არც მე-
ორე... მერე ვინმე მეჩექმეს მიაბარებენ. დაიწყებს ლოთობას,
შეეჩვევა უწმატურ ლანძღვა-გინებას და მუცელ მიშხმარი
საღმე ლობის ძირას ეგდება ხოლმე... კოლლექსი ასესსორის
შვილი და მეჩექმე! ეს ხომ კეთილ-შობილია, ეს ხომ ჩემი
სისხო თა ხორცა“...

მივუკევმა, როცა ცატხვებს გამოცილდა და მთვარეებ
პირ-და-პირ დაანათა, გახსნა ბოხჩა და ბაყშეს დააკეტრდა.

— სძინავს, — წაილაპარაკა მან. — ერთი შეხედეთ ამ სა-
თოებისა ამას! ცხვირი მამისა აქვს — ზეგიო პპრეხილი... სძი-
ნავს და არც კი ფიქრობს, რომ მშობელი მამა თავზე დაჩე-
რებია... დრამა, ძმაჯუან, დრამა... მაგრამ რას — იზამ, შევ-
ცდი. მაპატიყ, ჩემო კარგო... სჩანს, შენი ბედი ეს ყო-
ფილა...

კოლლექსი ასესსორს თვალები აუთამაშდა და ცრემ-
ლები გადმოსცვივდა... ბალლი ისევ შეახვია, ამოიდო იღლი-
ო ქვეშ და გზას გაუდგა. მთელი გზა, სანამ მელკინის
სახლს მიუახლოვდებოდა, თავში სხვა-და-სხვა სოციალური
კითხვები უტრიალებდენ, ხოლო გულს კი სინდისი უქე-
ჯილა.

— შე რომ კეთილი და პატიოსანი კაცი ვიყო, არა-
ფერსაც ყურადღებას არ მრგაქვევდი, მივიდოდი ანნა ფილი-
პოვნასთან, მივიყვანდი ამ ბავშვს დაუჩიქებდი და შევთხოვ-
დი: —, მაპატიყ, შევცდი! დამსაჯე, როგორც გინდა, ხოლო
ამ ცათამც უმანკო ბავშვს ნუ დავლუპავთ! შვილი ჩვენ არა
გვყავს, მოდი ეს ვიშვილოთ და კავზარდოთ! “ ანიკ კეთ-
ლი ქალია, კი დამეთანხმებოდა... და მაშინ ჩემი შვილი
ჩემთანვე დარჩებოდა, მაგრამ... ეჭი! ” ...

აგრძ მელკინის სახლთანაც მივიდა, მაგრამ ცოტა ხანს
შეყოყმანდა... მიგუებს თვალ-წინ წარმოუდგა, ვითომც ზის
იგი თავის თახეში და გაზეთს კითხულობს. პატარა, ცხვირ
პპრეხილი ბავშვი იქვე მუხლებზე მიყრინობია და რაღაც სა-
სამურათ ეტიტინება. მაგრამ ამასთანავე თუ ალ-წინ ქატება
თანამოსამსახურების მითქმა-მოთქმა და მათი აღმატებულება,
რომელიც ეშმაკურის ლიმილით ბეჭებზე ხელს უცაცუნებს...
გულში კი მქენჯნავ სინდისთან ერთათ რაღაც ნაზი, სამო
და თან მოწყვნილი გრძნობა უდვივდება...

კოლექსი ასესირმა კიბეზე ბავშვი ფრონტილათ ჩამოდი
და ხელი ჩაიქნია. ლოკებზე თვალთაგან ცრემლები ჩამო-
წურა...

— მაპატივე, ძმაო-ჯან, მე საძაგელს, მაპატივე! — წაი-
ლულუდა მიგუება. — ცუდათ ნუ მომიგონება! ..

ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყო, ერთი ნაბიჯი კი-
დევაც გადმოდგა, მაგრამ მაშინვე მიბრუნდა და წამოიხა:—,, ეეე! რაციქნება, იქნება! ვის რას დავდევ, ბავშვს უკანვე
წავიყვან და, ვისაც რა უნდა, ის იყედოს!

ბალლი ისევ აიყვანა და ჩქარის ნაბიჯით უკანვე გამო-
რუნდა.

თან გზაში შემდეგს ფიქრობდა: —,, რაც უნდათ, ის ილა-
პარაკონ. მივალ ეხლავე, დაუჩიქებ მუხლებზე და ვეტყვი:—,, ანნა ფილიპოვნა! ... ჩემი ანიკ კეთილი ქალია, მიხვდე-
ბა... და ერთათ გავჩრდით... თუ ვაჟია — ვლადიმერს დავარ-
ქმევთ, თუ ქალი — ანნას... სხვა არა იყოს-რა სიბერის დროს
ნუგეში მარც გვეყოლება! ..

როგორც გადასწიოტა, ისეც მოიკა. თვალ-ცრემლიანი,
უშისიაგან და სირცხვილისიაგან აცახცახებული, ეჭვებითა და გა-
მოურკვეველის იმედებით აღსავსე შევიდა სახლში, მივიდა
ცოლთან და დაუჩიქა... .

— ანნა ფილიპოვნა! ქვითინით უთხრა და ბავშვი იატაკ-
ზე დადო, — ნუ მომელავ, ერთი სიტყვა მათქმევინე... შევ-
ცდი! ეს ჩემი შეილია... ხომ გახსოვს აგნუშა, ის ის...
ეშმაქმა მაცდინა...

სირცხვილისა და შიშისაგან თავ-ზარ-დაცემულმა პასუხს
არც კი მოუცადა, გიურით ზეზე წამოიქრა და გარეთ,
წმინდა პატარზე, გამოვარდა —,, აქ ვიქნები, სანამ თვითონ
არ დამიძახებსო! —, ფიქრობდა გულში. —,, დროს მივცემ,
რომ ყველაფერი მოიფიქროს და გონს მივიღესო! ... მეტო-
ვე ერმილებ თავისი ფანდურით ახლოს გაუარა, შეხედა მი-

გუეს და მხრები აიჩქა... (კოტა ხანს უკან ისევ გამოიირ-
და კადევე მხრები აიჩქა).

— სერიო თუ გნებავთ — ესაა, ბატონი, — ლიმილებთ მი-
ახსნა მან მიგუებს. — ამ წუთში ჩემთან მრეცხადი ჭარბი — აუსი-
ნია იყო, იმ სულელს თავისი ბლლი გარეთ, ჭურის კოტეზე,
დაედო და, სანამ ჩემთან იჯდა, მისულო ვილაც და ბავშვი-
წაუყვანია... უბედურება თუ გინდა — სწორეთ ესაა! ..

— რა? რა თქვი?! — რაც ძალი და ლონე ქონდა და-
ლრიალა მიგუებმა.

ერმილებ თავისებურათ ახსნა ბატონის ასეთი განრისხე-
ბა. მოიქექა თავი და ამოხვნეშით მოახსნა:

— უკაცრივათ, სემიონ ერასტი! მაგრამ, რას იზამ, ეხ-
ლა ზაფხულია — ცხელა... უმისოთ ყოვლათ შეუძლებელია...
ესე იგი, უქალოთ... ერმილებ შეხედა ბატონს, რომელიც
ბრაზ-მორეული და გაკვირვებული დაშრერებით შისხერებოდა
მას, დარცხვენით ჩახველა და განაგრძო...:

— რას იზამ, შენი ჭირიმე, მართალია ასე მოყვანა უწესო-
ბაა, მარა, აბა, რას უზამ... თუმცა შენ მიბანე, —,, სხვისი ქა-
ლები ეზოში არ დავინახონ! . — მარა, აბა, საკუთარი სა ჯა-
ნაბაშია? უწინ, როცა აგენტა ჩემთან ცხოვრობდა, უცხო-
ქალები არ შემომყავდა, რადგანაც საკუთარი იყო, ეხლი კი,
თვითონ შენვე გასაჯ, ... უსხვის-ქალებოთ ვერაფერს გახდე-
ბი...

— დაიკარგე აქედან, შე საძაგელო, შენა! ფეხების ბრა-
ხუნით დაული აალა მიგუებში და შინისკენ გამობრუნდა.

ანნა ფილიპინა გაკვირვებული და თანაც გაცეცხლე-
ბული ისევ ძევლ ალაგას იჯდა და თვალ-ცრემლიანი ბავშვი-
მისხერებოდა...

— კარგია, კარგი, კმარა... წაილულლულა გაფითრე-
ბულმა მიგუებმა და სახე ლიმილის მსგავსათ მოღრიჯა, — გი-
ხემრე... ეს ჩემი კი არ... არა... არამედ აქსინიასია. შე,
მე... ვიხემრე... წალყვანე მეტ ავეს.

სიმ.

წალლერის პოეზიის მირითადი თეოსებანი.

(შემდეგი).

ყველა ფილოსოფიურ მოძღვრებაში პესიმიზმი ყველაზე
უფრო მავნებელია, ხოლო აღამიანის ყოველგვარ გრძნობაში
გულგატებილია, მელანხილია — ყველაზე უფრო მაზარალე-
ბელია. თუ კი სიტყვას, თუ კი ამა თუ იმ მოძღვრებას ცხოვ-
რებაში რისიე გაკეთება შეუძლია, ყოველი სიტყვის, ყოვე-
ლი მოძღვრების მიზანი ის უნდა იყოს, რომ აღამიანის სი-
ცოცხლე და ცხოვრება შეაყვაროს. ცხოვრების სიყვარული
უმთავრესი პირობაა, ურომლ თოთაც ადამიანის ბეღნიერება-
შეუძლებელია. თუ ზოგჯერ მილიონერი თავის ხელით ისპობს
სიცოცხლე, ფეხშიშველი გლეხი კი, რომელსაც რიგიანათ
გამოძღმაც კი ბევრჯერ არ შეხვედრია, ღრმა მოხუცებუ-
ლებაშიაც ცა და ქვეყანას შეხარის, ამის მიზეზი იმაშია,
თუ რა თევზაობ უცურებს პირველი ან მეორე სიცოცხლესა-
და ცხოვრებას. სიყვარული — ეს დიადი გრძნობა, თუ
რომ ის აღამიანმა აღამიანურათ მოიხმარა, არ აკაშირებს-
პირველს ცხოვრებასთან; აღიტომ მას სიცოცხლეც მეტ ბარ-
გათ გადაუქვებია, ბეღნიერების წყარო სათავეშივე მოწა-
ლელი აქვს და ასეთ კაცს თავის მოვლის მეტი, რასაკირვე-
ლია, აღარია და გარეთ გადაუქვებია, გარეთ გადაუქვებია... მა-
გრა ცხოვრებას არ არის გარეთ გადაუქვებია, გარეთ გადაუქვებია...

ნის სიცოხლე, ყველას შეუძლია, უკეთესი ცხოვრების დამყარებას ხელი შეუწყოს, ხოლო არავის არა აქეს არავთარი უფლება, ადამიანის გულში თესოს თქმის სიცოხლისადმი სიძულვილისა: ვინც შრომობს ცხოვრების გაუმჯობესებისათვის, ის ემსახურება ადამიანის კეთილდღეობას, ადამიანის ბედნიერებას, ვინც მხოლოდ სიძულვილს თესავს, ის ემსახურება ადამიანის უბედურებას და ვისაც არ შეუძლია ადამიანის გაძენიერება, მას რა უფლება აქეს, ადამიანის უბედურებას გმსახუროს?! საშვალი ადამიანის სიცოხლე უყვარს, მას ცხოვრება სწყურია, ცხოვრება ადამიანური, გააღვიერ მისი ჩიყვარული, დააკმაყოფილეთ მისი წყურვილი—აი პატიოსანი საქმე.

იმ მოღვაწეთა შორის, რომლებიც ამ პატიოსან საქმეს ემსახურებოდენ, ერთი საუკეთესო ალაგი შილლერს უჭირავს. შილლერი ლარიბ ოჯახში დაიბადა, მთელი თავისი სიცოხლე სილარიბეში გაატარა; ბევრგვარი შევიწროება, ძალმომრეობა, უსამართლობა, დაჩაგვრა, დამცირება თავის საკუთარ თავზე გამოცადა; ჯერ კიდევ ახალგაზდას შეეპარა სენი, რომელიც მთელი ოხუთმეტი წელიწადი ღრღნიდა მის ჯანმრთელობას; ღმერთო, როდის მოეღება ამას ბოლოვო, არა ერთხელ წარმოუთქვამს მას ამ ღრღნს განმავლობაში, მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ამისა მას არც ერთხელ არ დაკარგვია რწმენა ცხოვრებისა და ადამიანისადმი.—სიცოხლე ბედნიერებაა, ადამიანი ბუნებით კეთილი და პატიოსანი არსებაა—აი შილლერის ღრმა რწმენა. მისი რწმენა სარჩულით უდევს მის პატიოს. ბუნებამ შილლერს არგუნა ნაზი, ფაქტი და მეტათ მგრძნობიარე ნერვები; დედის მოსიყვარულე გულმა კიდევ უფრო გაანაზა, მწარე ცხოვრებამ კიდევ უფრო გააგრძნობიერა ისინი. ამიტომ შილლერის პოეზია არის პოეზია ნერვების, პოეზია გრძნობის და, რაღანაც გრძნობა ყოველთვის ინდივიდუალურია, სუბიექტური, შილლერის პოეზიაც უმთავრესათ სუბიექტურია. ნაზი და გრძნობით სავსე ნერვები ის აღზენებული სიმებია, რომლებზე დაც აწყობილია შილლერის მთელი პოეზია,—როგორც ლექსები, ისე დრამები. ლირიკა შილლერის ნიჭის უმთავრესი ძარღვია, ლირიზმი შილლერის ხელოვნების უმთავრესი თვისებაა. თუ შილლერის თანამედროვე გეტე თავისი ობიექტივიზმით, თავისი პოეზიის დედაბზრით არის საყოველთავო, მსოფლიო გენიოსი, შილლერი თავისი გრძნობებით წვდება ყოველ ადამიანს, ქვეყნის ყოველ კუთხეს, შილლერის ძლიერება მისი პოეზიის ლირიზმით და ამ ლირიზმს მოკლებული რომ იყონ მისი დრამები, რომლებიც დღესაც კი მშვენებენ ევროპის თავტრის რეპერტუარს, მათ აღარ ექმნებოდა ის მნიშვნელობა და ის გავლენა, რომელიც საშართლიანათა აქვთ მოხვევილი.

შილლერის წვრლი ლექსები და ბალლადები წარმოადგენს ერთ აღვრთვანებულ ლირიკას. ძირითად თვისებას შილლერის ლექსებისას ის შეაღენს, რომ მათში თანამედროვე ცხოვრება სრულებით უარყოფილია. ლექსებში შილლერი ის არ არის, რაც დრამებში; თუ თავისი დრამებშა ის სასტიკათ ჰიცებას ზოგიერთ მავნე ტრადიციებსა და თანამედროვე ცხატების სიმახინჯეს, ლექსებში შილლერის მთელი გრძნობა, მისი ცილი და გული მხოლოდ ბუნებისაკენ არის მიქცეული. მაყრამ შილლერი არ არის ბუნების უდარდელი, უმიზნო მოტრფალი, მას უყვარს ბუნება იმიტომ, რომ ბუნებაში განხორციელებულია ის, რასაც ამაოთ დაექცებს ადამიანადა საზოგადოებაში და ის გამუდმებით იხსნვს ადამიანთა შორის იმგვარ კავშირს, იმგვარ დამოკიდებულებას, როგორიც ბუნებაში არსებობს. ცხოვრება შილლერს არ აკმაყოფილებდა, მთელი თავისი სიცოხლე ის უკეთესი-

საკენ მიისწრაფოდა, მაგრამ ცხოვრების განვითარება და გუმჯობესება ადამიანის ნატვრასავით სწრაფათ არ მიკურავს და ამიტომაც შილლერი ოცნებაში ჰპლებდება და იმედის, ოცნებით იახლოებდა იმ სისტულეს, რასაც ცხატებული ბა მოკლებული იყო. თუ გინდა, რომ ღმერთის დაედარო, უარყავ ქვეყნიური ვიწრო და სულის შემთხვევი ამოგებანი და ოცნებით იდეალის შეუმმოსავ სამყაროში აფრინდიო, ამბობს პოეტი ერთ თავის ლექსში („იდეალი და ცხოვრება“ 1795 წ.). იდეალი ის წმინდა და ნათელი ლამპარი იყო, რომელიც გზას უნათებდა შილლერის ნიჭს და სულის უდგამდა მის აოზისა. რამდენათაც პოეტი არ აკმაყოფილებდა ცხოვრება, იმდენათ უფრო იზიდ ყვდა მას თავისკენ ბუნება და ხელოვნება. ბუნება და ხელოვნება—ის ორი ღმერთია, რომლებსაც შილლერი თაყვანისა სცემდა; ამის მიზეზი შემდეგია: შილლერი მხოლოდ ბუნებაში ხედავდა იმ სიყვარულსა და მეგობრობას, ხელოვნებაში კი იმ მშვენიერებასა და თავისუფლებას, რომლებსაც მოკლებული იყო ცხოვრება.

შილლერის პოეზია არის პოეზია საერთო, მსოფლიო სიყვარულისა. სიყვარულის ქადაგება შეაღენს შილლერის ლექსების ერთ უმთავრეს თვისებას შილლერის სიყვარული ნაზი, წარმტაცია, მომხიბლავი გრძნობაა, ას რაღაც უხილვი ბადეა რომელ შიაც მოთავსებულია ზოელი სამყარო. ქვეყნიერება შილლერის თვალში სიყვარულის საკურთხეველია; ამ უდიდეს გრძნობას ის არა თუ ადამიანთა შორის, უსულო საგნებშიც კი ხედავს. უკვდავი ნიუტონის კანონი შილლერის პოეზიაში შეცვლილი სიყვარულით და მეგობრობით: მხოლოდ სიყვარული და მეგობრობა აკავშირებს ერთმანერთან მზესა და დედამიწის, იმავე სიყვარულსა და მეგობრობას ხედავს ის ვარსკვლავთა შორისაც. შილლერი ღვიძლი შვილი ბუნების, მას არა თუ ადამიანი უყვარს, მას ძლიერის გრძნობით უყვარს ბუნება, როგორც შვილს თვისი მშობელი დედა. აი რას წერს ის ერთ ლექსში „მეგობრობა“—ში, რომელიც მას დაწერილი აქვს 1781 წელს; ადამიანნი რომ უცებ მოისპონ დედამიწაზე, კლდეებს ჩავთვლიდი სულიერ ქმნილებათ, მათ დავუწყებდი აღზნებულათ კოცნას, შევიყვარებდი მთის მწვერვალებს, დაუუმეგობრდებოდი ქალებს და ჩემს საიდუმლოს ქარს გაფანდობდი. სიძულვილი ჩევნ მძოვრათ გაღაგვაქცევს ხოლმე, სიყვარული კი ღმერთათ, დასძენს თან შილლერი. განვლო ამის შემდევ თხუთმეტმა წელმა, ბევრი ამ განიცადა ამ ღრმა განმავლობაში შილლერი, ჩაგრამ მისი შეხედულება, მისი აღტაცებული სიყვარული ბუნებისადმი უცვლელი დარჩა. 1775 წელს „იდეალებში“ პოეტი წერს: ბუნება ჩემს სიყვარულს იზიარებდა, უენომ ენა პოიდგა, ამბორი უკან დამიბრუნდა და ჩემი გულის ძგერა ძეგვნონ. ტყე და მთები გაცოცხლენ და ვერცხლის ფერი რუ მე მიგალობდაო. თუ ასეთი ღრმა იყო პოეტის სიყვარული უსულო საგნებისადმი, როგორიც უნდა ყოფილიყო მისი სიყვარული თვით ადამიანისადმი! მტრობა, სიძულვილი ის გრძნობაა, რომლებსაც შილლერის ბუნება მოკლებული იყო. ამ გრძნობებს მოკლებულია შილლერის პოეზიაც. შეეცვარეთ ერთმანერთი, განდევნეთ შერი და მტრობა, მხოლოდ სიყვარული ამაღლებს ადამიანთ, აი რას ქადაგებდა შილლერი მთელი თავისი სიცოხლე. თვით სიცოხლეც შილლერის არარაობათ მიაჩნია უსიყვარულოთ, „თვით ზეცაც კა რა არის უსიყვარულოთ“, ამბობს შილლერის იუნონა „სმელა“—ში. ყოვლათ ძლიერი ზეცესი კიდევ უფრო მაღლა აყენებს სიყვარულს იმავე სემელაში: „რა არის ძლიერება, უკვდავება, მარატისობა, ღმერთის უსიყვარულოთო!“ ზეცესისა და იუნონას აზრი იგივე შილლერის აზრია.

თავის წვრილ ლექსებში შილლერის ბევრი აქვს სასიყვა-

რულო ლექსებიც. თუმცა ზოგიერთ მათგანში პოეტის მუხა უკოცნელათ ვერ ძღვებს და ქალის ლოყებისაკენაც იყურება, მაგრამ საერთოთ ამ ლექსებში შილლერის სიყვარული ქალი-საღმი მეტათ ნაზი, ამაღლებული, იდეალური სიყვარულია.

მეორე ძლიერი გრძნობა, რომელიც სარჩულათ უდევს შილლერის ლექსებს, არის მეგობრობა. სიყვარული და მე- გობრობა შილლერის პოეზიაში განუშორებული და ერთნაი- რათ ძლიერი გრძნობები არიან: ორივეს საზღვრები ერთათ იწყება და ერთათვე თავდება: ამიტომ იქ; საცა სიყვარულია, მეგობრობაც არის, საცა მეგობრობაა, იქ სიყვარულია შილ- ლერის აზრით. ამგვარათ შილლერის პოეზიაში სიყვარული და მეგობრობა ის განწმენდელი და იდეალური გრძნობანი არიან, რომლებიც ადამიანის ბუნების საუკეთესო სამკაულს შეადგენენ.

თუ შილლერი სიყვარულს მოელის სამყაროში ხედავდა და მიაჩნდა ის რადაც მსოფლიო სულათ, რომლითა გაედე- თლი იყვენ ლვით უსულო საგნებიც კი, ამგვარათვე უყუ- რებდა ის მეგობრობასაც; მეგობრობას ის ხედავდა ყოველგვან სამყაროში, ყოველგვარ უსულო საგნებ შორის და ადამიან- თა შორის ხომ მეგობრული კავშირი მას მიაჩნდა საუკეთესო კავშირათ. არ ყოფილი არც ერთი წმი, როდესაც შილლერის თავის გულისათვის ეღალატნოს, მას არ დაუწერია არც ერ- თი სტრიქონი, არც ერთი სიტყვა, სადაც ის თავის გრძნო- ბას მტრობდეს: შილლერი სწერდა ყოველთვის შხოლოთ მას, რასაც გრძნობდა, და მისი მუხა და მისი გული მეგობრობის კითხვაში სრულებით ეთანხმებოდენ ერთმანერთს. შილლერი ისეთი ადამიანი იყო, რომელსაც მარტიო მარტო, უშეგობ- როთ გაძლება არ შეეძლო. სადაც კი მივიღოდა, უმაღ მე- გობარს მოძებნიდა ხოლმე მისი გული. თუ რამდენათ ლრმა იყო მისი სიყვარული ყოველი მეგობრისადმი, იქიდანაცა ჩანს, რომ როდესაც მას სასწავლებელში გულითადი ამხანა- გი ავათ გაუხდა და შილლერი ატყობდა, რომ ის აღიარ მორ- ჩებოდა, მომავალი პოეტი გულწრფელი ევედრებოდა ღმერთს: მე მომავალი მის მაგიერო. ამგვარი პატიოსნი თვისება გუ- ლისა შილლერმა ბოლომდე შეირჩინა. მეგობრისათვის / არ იშურებდა ის სულსა და გულს, მასთან დაფარული არა ქონ- და რა და ამიტომ საკვირველიც არ არის, თუ ასე მაღლა იყენებს პოეტი ამ გრძნობას თავის პოეზიაში.

ი. გომართელი.

(შემდეგი იქნება).

მეცნ გახტანგ მე-VI-ს კანონები და ჩართვები ჩალი *).

(განვითარება).

როგორც ვიცით, ფეოდალურ ეპოქაში თვითონული ადამიანი ფასდებოდა არა მისი პირადი ღირსების მიხედვით, არამედ როგორც წარმომადგენელი ამა თუ იმ წოდებისა. უმთავრესი განსხვავება ერთი წოდებისა მეორისაგან განისაზ- ღვრებოდა სისხლზე დადებულ საურველის რაოდენობით: მა- ღალ-წოდების კაცზე მეტი საურველი იყო დადებული, ხო- ლო დაბალ-წოდების კაცზე — უფრო ნაკლები. ამ მხრივ არც ქალი წარმოადგენდა განსხვავებას; ჩვენ კიცით, რომ შეუ- რაცხოფა მაღალი და დაბალი წოდების ქალისა ერთი და იგივე არ იყო. მეცნ გაორუ ბრწყინვალე იმასაც კა. იწე- სებს, რომ ვინც მოჰკლას მოლაპონი, მას თუ კეცი საურვე- ლი გადახდესო (26). მაშასადამე, ქალს მით უფრო მეტი

*). იხ. „კვალი“ № 42.

მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების თვალში, რაც უფრო მაღალ საფეხურზე იდგა იგი წოდებრივათ, მასთან გოლომ- ნათ შესვლა ძლევდა მას ზოგიერთ უპირატესობას ერთმანეთში ქალთან შედარებით.

იდამიანის პირადობა იმდენათ იყო დასაგრული, რომ თვით სინიდისი ფასდებოდა წოდებრივ მდგომარეობის მიხედ- ვით. ჩვენი კანონ-მდებელნი ხშირად გამოთქვავთ იმ აზრს, რომ რაც უფრო დაბალ საფეხურზე დგას იდამიანი წოდებ- რივათ, მით უფრო ნაკლები ფასი აქვს მის ნათქვამს. ვახტა- გის სამართლი ბრავალ შემთხვევაში უკრძალავს გლეხს მა- წმედ ყოფნას უფრო იმიტომ, რომ მას არა სწამს გლეხის ფიცი. ეახტანგი პირდაპირ ამბობს რომ აზნაურს მეტი ღა- ჯერება, ვინემ გლეხსო, ამიტომ იქ, სადაც ექვსი აზნაურია მოწმეთ საჭირო, გლეხი თორმეტი უნდა იყოს, ე. ი. ორჯერ მეტი. თუ ასეთი შეხედულება სულევდა ჩვენს კანონ-დებაში მამა-კაცის შესახებ, თავის-თავათ მისახვედრია, რომ დედა-კა- ცის პირადობა სრულიად უებ-ქვეშ იყო გათელილი. ამის დასამტკიცებლათ საკმიან მოვიყანოთ ვახტანგის სამართლი- დან ერთი მუხლი: „ქალს არ უნდა დაევალოს ფიცი, ვერც გარეშე კაცს შეუძლია მის მაგიერ ფიცის მიღება, რადგანაც ის (ქალი) გარეშე პირს არ ეტყვის მართალს და თვით მის ფიცისაც შეხედავს გულ-გრილათ. მსაჯულმა უნდა მოძებნოს ქალის მახლობელი პირი: მა, ვაკიუშვილი ან სიძე და მის- გან მიიღოს ფიცი ქალის მაგიერ“ (239). როგორც ხედავთ, კანონ-დება სრულიად უკრძალავს ქალს ფიცის მიღებას. ეს გარემოება ჩვენ გვაძლევს უფლებას დავსკვნათ, რომ ქალს სრულიად არ შეეძლო მოწმედ ყოფილიყო, რადგანაც ღა- ფიცებალი მოწმე ძველ ღრმუში არ იყო მიღებული არც ჩვეულებისაგან და არც კანონისაგან. მეტი არ იქნება და- ძინოთ, რომ თვით სარწმუნოება ზოგიერთ შემთხვევაში ხელ- უწყობდა ასეთი უკულმართ წარმოდგენის ღამეცვლებას. ქალზე. სხვაც რომ არ იყოს, ზარტო ის ფაქტი, რომ დაბა- დების პირველ წიგნში ეფა არის დასახული ადამის შემცირე- ნებით, საკმიან იყო, რომ საზოგადოების წარმოედგინა ქალი მაცდურით და ყოველიც ბოროტების კოლაფად. *).

ა. ჩჩენკელი.

(დასასრული იქნება)

რედაქტ.-გამომც. ან. თ.-წერეთლისა.

განცხადებანი.

სასდავლებელი და კანსიონი.

ს მამულია შვილის

ვერა, სლეპცონის ქუჩა, № 13. ზემშელის აფთიერების მა- ხლობლათ.

ამზადებს ბავშვებს საშალო სასწავლებლებისათვის (გა- მნაზია, რეალური და კომერციული სასწავლებლები, კადეტ- თა კორპუსი და სხვ.). იქვე ამზადებნ მოწაფებს, რომელ- თაც დანიშნული აქვთ ხელ-მეორეთ გამოცათ (პერეპა- მენოვნი).

*). ბერძენთა კანონები აწესებენ, რომ ქალის მოწმობას არ უნდა დაენდოს სამსაჯულ [148, 334]. უნდა აქვე დაგმნოთ, რომ ეს შეს- დულობა არ არის ბოლომდე გატაქებული, მაგ. ჩვენ გვითხულობთ ერთ მუხლში: „თუ დედა-კამა დაფიცის მართალი საქმისათვის, მას დაეჯ- რებას“ (248).